

**ლაზური / ჭანური
მემკვიდრეობითი სახელების
ისტორიისათვის: „ფლატეი“ და „მხუჯუდ“**

**ON THE HISTORY
OF LAZ / CHAN HEREDITARY NAMES:
*PLATEI AND MKHUI***

ნუგზარ მგელაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

ზაზა შაშიკაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

Nugzar Mgeladze

Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

Zaza Shashikadze

Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

აბსტრაქტი

ლაზურში/ჭანურში, ისე როგორც ჭოროხის აუზის სხვა ქართველურ ეთნოგრაფიულ ჯგუფებში, რომლებიც თურქეთში მოსახლეობენ, გვარის, კერძოდ, გვარ-სახელის აღმნიშვნელად უპირატესად თურქული წარმომავლობის ტერმინი „სოდადი“ გვხვდება, ხოლო გვარის მცირე გენეალოგიური ჯგუფის ზოგად სახელწოდებად ლაზურმა/ჭანურმა ძველი ქართველური ლექსიკური ერთეულები – „ფლატეი“ და „მხუჯუდ“ შემოინახა, რომელთაც თურქულიდან დამკვიდრებული სიტყვა „სულალე“ ანდა „ყეზილე“ შეესაბამება. ლაზური/ჭანური „ფლატეი“ შინაარსობრივად საგვარეულოში გენეალოგიური ჯგუფის ადგილსა და მნიშვნელობას ზუსტად ასახავს. იგი, ერთი მხრივ, ქართულში (ხევსა და ფშავში) „ნაგლეჯს“, „ნაფლეთს“, ხოლო, მეორე მხრივ, სისველისაგან ჩამონგრეული მიწის პირს, მდინარის ჩამონგრეულ კიდეს, ნაპირს ნიშნავს. ასევეა „მხუჯუდ“. ლაზურში/ჭანურში „მხუჯუდ“ საერთო წარმომავლობას შეესაბამება და მასში ერთი ჩამომავლობის ადამიანთა ერთობა იგულისხმება. ადვილი შესაძლებელია ლაზური/ჭანური „მხუჯუდ“ კულტურულ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით სვანური „ლამხუბის“ – სამმოს მსგავსი ყოფილიყო, რომელიც მხარში დგომას, თანადგომას გამოხატავდა, თუმცა არაა გამორიცხული ამ ტერმინთა არა მარტო ტიპოლოგიური, არამედ ფონეტიკური კავშირიც. სავლეთ-ეთნოგრაფიული და ლიტერატურული

წყაროების საფუძველზე არაერთი საინტერესო ლაზური/ჭანური მემკვიდრეობითი სახელია დადასტურებული, რომელთაგან ყურადღებას იქცევს ბეჭირიში, ვანილიში (ვანლიში), ჯეგარიში (ჯეგვიში), მემიშიში, კახალიში, აზაკლიში (აზაკიში), ჩეზიში (ჩეფიში), შეერიში, კარალიში, ქელერჯიში, კეფალიში, მოშნალიში, აჭარალიში, ბუიქლიში, დალალიში, დიშლიში, იამფერიში, კასიმიში, ხალილიში (ხოფის სოფელ მხიგში მცხოვრები გენეალოგიური ჯგუფის სახელწოდება), დემირალიში, შაქარიში, თერზიში, იაჯიში.

ბოლო ხანებში მკვლევართა მიერ XVII-XVIII საუკუნეების ოსმალურენოვან წერილობით წყაროებში ლაზურ/ჭანური სუფიქსებით ნაწარმოები არაერთი გვარი და მემკვიდრეობითი სახელი გამოვლინდა. ოსმალურ წყაროებში დასტურდება სუფიქსები შემდეგი მემკვიდრეობითი სახელებით: -ვა: ფელაღრივა, ასტრაგავა, თალახვა, ქარდაღვა, ხორავა, პაპავა, იოვანვა, ტურტევა, კოკოვა, კოჩივა, ჩეჩევა, ფართივა, ჭანივა, გუგავა, კუკავა (კოკავა), ფოჩხვა, თევდორავა, დადივა; -ია: მელია, ფილანია, ქეშანია, იქსენია, ბეგია, შალვაია, კახაია, მანია, ბასილია, სალია; -სკირი: პასკირი, პაპასკირი, პაპასკური, პეტრესკირი, სავასკირი, მათესკირი, ქესკირი, კოკასკირი. ოსმალურ წყაროში, ასევე, ვხვდებით -უა'სა (მელუა, მორხუა) და -იან'ზე/-ან'ზე (კვარსანი, ქეთუშანი, კოდიანი, ჯაჯივანი, ანდვანი) დაბოლოებულ მემკვიდრეობით სახელებსაც.

გვიანი შუასაუკუნეების ოსმალურ წყაროებში გამოვლენილ ბოლოსართთა თავისებურებები გვიჩვენებს, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთში შუასაუკუნეებში არსებობდა ერთიანი მეგრულ-ლაზური/ჭანური (კოლხური) ეთნოსოციალური და ეთნოლინგვისტური სივრცე, სადაც მემკვიდრეობით სახელწოდებათა მსგავს წარმოებასთან გვექონდა საქმე. ამასთან, გენეალოგიური სისტემის სტრუქტურა ტიპოლოგიურად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმოდგენილი პატრონიმიული ორგანიზაციის სტრუქტურის ანალოგიური იყო, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ვრცელ ტერიტორიაზე ზანებისა (კოლხების) და იბერიულ-ქართული მონათესავე ეთნოგრაფიული ჯგუფების გენეტიკურ, ეთნოკულტურულ და კულტურულ-ისტორიულ კავშირს.

საკვანძო სიტყვები: საერთოქართველური ლექსიკა, ლაზური/ჭანური მემკვიდრეობითი სახელები, ლაზური/ჭანური გვარსახელები.

ABSTRACT

In the Laz/Chan language, as in other Kartvelian ethnographic groups residing in the Chorokhi basin in Turkey, the Turkish-derived term *soyad*'i is predominantly used to denote surnames or family names. However, for referring to smaller genealogical groups, Laz/Chan has preserved several ancient Kartvelian lexical units—*platei* and *mkhujui*—which correspond to the Turkish-established terms *sulale* or *kebile*. The Laz/Chan word *platei* precisely reflects the position and significance of a genealogical group within a clan. It denotes, on the one hand, a 'fragment' or 'shred', and on the

other, the section of land that has collapsed due to moisture, or the eroded bank or shore of a river. The same applies to mkhujui. In Laz/Chan, mkhujui refers to common ancestry and signifies a community of people sharing the same descent. It is likely that the Laz/Chan mkhujui was, in cultural-typological terms, comparable to the Svan lamkhub – a brotherhood embodying mutual assistance and solidarity. There may also be both typological and phonetic links between the two terms. Based on field-ethnographic and literary sources, numerous interesting Laz/Chan hereditary names have been attested, among which the following are noteworthy: Bekirishi, Vanilishi (Vanlishi), Jevarishi (Jevaishi), Memishishi, Kakhailishi, Azaklishi (Azakishi), Karalishi, Chebishish (Chepishi), Sheerishi, Kelerjishi, Kepalishi, Moshnalishi, Acharalishi, Buiklishi, Dalalishi, Dishlishi, Iamperishi, Kasimishi, Khalilishi, Demiralishi, Shakarishi, Terzishi, and Iajishi.

Recently, researchers have brought to light Ottoman Turkish written sources from the 17th-18th centuries containing Laz/Chan surnames and hereditary names formed with Laz/Chan suffixes. The following suffixal hereditary names are attested in these Ottoman sources : -va: Pelaghriva, Astragava, Talakhva, Kardaghva, Khorava, Papava, Iovanva, Turteva, Kokova, Kochiva, Checheva, Partiva, Chaniva, Gugava, Kukava (Kokava), Pochkhva, Tevdorava, Dadiva; -ia: Melia, Pilania, Qeshania, Iqsenia, Begia, Shalvaia, Kakhia, Mania, Basilia, Salia; -skiri: Paskiri, Papaskiri, Papaskuri, Petreskiri, Savaskiri, Mateskiri, Qeskiri, Kokaskiri. Ottoman records also preserve hereditary names ending in -ua (Melua, Morkhua), -ian/-an (Kutiani, Kvarsani, Ketushani, Kodiani, Jajivani, Andvani).

The characteristics of the suffixes found in the Ottoman sources from the late Middle Ages suggest that, during the medieval period, a unified Megrelian-Laz/Chan (Colchian) ethno-social and ethno-linguistic continuum existed along Georgia's Black Sea coast, within which similar formations of hereditary names were in use. Furthermore, the genealogical system's structure was typologically parallel to the structure of patronymic organizations found in various regions of Georgia, once again reaffirming the genetic, ethnocultural, and cultural-historical interconnectedness of the Zan (Colchian) and Iberian-Kartvelian ethnographic groups across a wide area.

Keywords: Common Kartvelian vocabulary, Laz/Chan hereditary names, Laz/Chan surnames.

შესავალი

პატრონიმიული ორგანიზაციის გენეალოგიური სეგმენტების აღსანიშნავად ლაზურში/ ჭანურში ფლათეა და მხუჯუა დასტურდება, შესაბამისად, მათთან კავშირში უაღრესად საინტერესოა ლაზური/ ჭანური გვარებისა და გვართა განსახლების შესახებ არსებული ხალხური ცნობები, განსაკუთრებით მემკვიდრეობითი სახელებთან დაკავშირებული ნარატივები. საგვარეულო გადმოცემებში ლაზების/ჭანების ისტორიის არაერთი ეპიზოდია ასახული. ლაზური/ჭანური გვარის არსში

წვდომისათვის მნიშვნელოვანია მისი სტრუქტურის ანალიზი, ამა თუ იმ გვარ-სახელისა და გენეალოგიური განმტოების სახელწოდებათა თავისებურებების შესწავლა, ამ განმტოებათა როგორც დიაქრონიულ, ისე სინქრონიულ დონეზე განსაზღვრა.

კვლევის მეთოდები

თემატური პრობლემის კვლევის პროცესში გამოყენებულია საველეთნოგრაფიული მასალები, XVIII საუკუნის ოსმალურენოვანი საარქივო აღწერის დოკუმენტები და შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა. ვფიქრობთ მათი კრიტიკული ანალიზი, გათვალისწინება და შეპირისპირება მნიშვნელოვანია სწორი და ობიექტური დასკვნებისათვის.

მსჯელობა

ლაზურში/ჭანურში სხვადასხვა სუფიქსით ნაწარმოები მემკვიდრეობითი სახელები ხშირად ეპონიმის პროფესიას, სატომო სახელს, წარმომავლობით ადგილს უკავშირდებოდა. ლაზური/ჭანური გენეალოგიური ჯგუფების სახელწოდებები უპირატესად მაინც პიროვნების საკუთარი და მეტსახელებიდან წარმოდგებოდა. მეტსახელებს **ძეგნე** ანდა **ძეგლი** ეწოდებოდა. გენეალოგიური ჯგუფის სახელწოდებები, რომლებიც წინაპრის მეტსახელისაგან ჩნდებოდა, ამ მეტსახელს თაობების მანძილზე ინარჩუნებდა, ე. ი. წინაპრის ზედმეტი სახელი გარკვეული სუფიქსის დართვით თაობებს გადაეცემოდა და დროთა განმავლობაში მთლიანად გენეალოგიურ ჯგუფზე ვრცელდებოდა. ამიტომ, ტერმინები – **ძეგნე** და **ძეგლი** ხშირად გენეალოგიური ჯგუფის სახელწოდებებთან ასოცირდებოდა, უფრო ზუსტად, როცა გენეალოგიური ჯგუფს საფუძვლად წინაპრის მეტსახელი დაედებოდა, უკვე ასეთი ნათესაური ჯგუფიც „ძეგნესთან“ და „ძეგლთან“ იყო დაკავშირებული. ლაზური/ჭანური „ძეგნე“ და „ძეგლი“ ჭოროხის ქართულენოვანი მოსახლეობის „**ლაღაზს**“ („**ლაყაფს**“) შეესატყვისება. ამსიტყვებიდან ზოგიერთი იმავე მნიშვნელობით დასავლეთ საქართველოშიცაა ცნობილი. ჩვეულებრივ, მემკვიდრეობითი სახელები შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო წინაპრის წარმოშობის ადგილთან, სატომო სახელთან, ეპონიმის ფიზიკურ და პიროვნულ მახასიათებელთან, პროფესიულ საქმიანობასთან. მაგალითისათვის შეიძლება ისეთი მემკვიდრეობითი სახელები წარმოვადგინოთ, რომელთაც სატომო სახელწოდებები (ჭანი, ჭანივა, ჭანუყვამე, ჭანიშვილი, ლაზიშვილი) ანდა პროფესია (დემირალიში, იგივე მჭედლიენთი, მჭედლიშვილი) უდევთ საფუძვლად. ხდებოდა ისეც, რომ გვართა ოფიციალურად აღდგენის დროს, ალბათ ლაზური წარმომავლობისა და ლაზური ცნობიერების შენარჩუნების მიზნით, ზოგიერთ მემკვიდრეობით სახელში სატომო სახელწოდება **ლაზი** აისახებოდა ხოლმე. მაგალითად, სოფელ სარფში მემიშოლლთა ერთი შტო ამგვარად გვარ-სახელ „**ლაზიშვილი**ს“ მატარებელი გახდა. მართალია, ლაზურ/ჭანურ გენეალოგიურ სისტემებში წარსულში სხვადასხვა ტიპის მემკვიდრეობითი სახელები გვხვდებოდა, მაგრამ ძირითადად ნათესაური ჯგუფების სახელებს წინაპრის ისეთი საკუთარი ანდა მეტსახელი წარმოქმნიდა, რომელიც „**ფლატეშა**“ და „**მხუჯუაშ**“ მაწარმოებელ ფორმანტთან კომბინაციაში იმყოფებოდა. მაგალითად,

სოფელ სარფში „ყაბამემედოღლები“ მიიჩნევდნენ, რომ მათი წინაპარი მემედი ჩაფსკვნილი, მსხვილი კაცი იყო. მათი აზრით, რადგან „ყაბა“ (თურქული ენის ახალი ფორმით – „ქაბა“) თურქულად „მსხვილს“ ნიშნავს, ამიტომ მის შთამომავლობასაც „ყაბამემედოღლები“, ე. ი. მსხვილი მემედის შთამომავლები დაერქვა. მემკვიდრეობით სახელში წინაპრის საკუთარი სახელი – „მემედი“ და „მეგნე“ („მეგლი“), ანუ მეტსახელი – „კაბა“ (მსხვილი) კომპოზიციაში მონაწილეობს. საინტერესოა ამავე ძირ-საგვარეულოში „ყაბარიების“ ისტორიაც. როგორც ინფორმატორები მოგვითხრობენ, ყაბარიათა წინაპარი საკმაოდ ჯიუტი, უხეში, მაგრამ პრინციპული ადამიანი ყოფილა. მას საბჭოთა ხელისუფლება არ მოსწონდა და ალბათ საზღვრისპირა სოფელ სარფში გადმოცემა მისი სიჯიუტის შესახებ სწორედ საბჭოთა ხელისუფლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების გამო შეიქმნა. ამდენად, რადგან იმდროინდელ ხელისუფლებასთან ყაბარიათა წინაპარს „ჯიბრი ქონდა“, თითქოს ამან განაპირობა ის, რომ მას განსხვავებული სახელი – „ყაბარია“ შეარქვეს. ამ თვალსაზრისით, წინაპრის მეტსახელად საინტერესოა – „მარჭა“ც, რომელიც შეშის წყობას, შეშის გროვას ნიშნავს. ხორავათა გვარის ადრინდელი გენეალოგიური განშტოების „ხირალოღლების“ წინაპარი სუსტი და გამხდარი, ამასთან, მომადლო ადამიანი ყოფილა, რის გამოც მის შთამომავლობას „ხირალოღლი“ შეარქვეს.

საერთოდ, ლაზური/ჭანური ანთროპონიმები განსაკუთრებული კვლევის საგანია. საკუთარ სახელებსა და მეტსახელებში ამა თუ იმ პერიოდის ისტორია ასახული. პოლიტიკური და რელიგიური კატაკლიზმების შედეგად როგორც მამაკაცის, ისე ქალის სახელები თითქმის ყველგან იცვლებოდა, მაგრამ კულტურული არეალი და ყოფა ტრადიციულ სახელებს ამა თუ იმ ფორმით მაინც ინარჩუნებდა. ლაზეთში/ჭანეთში გამოვლენილი ქალისა და მამაკაცის საკუთარი და მეტსახელებიდან უნდა გამოვყოთ: „ნოქთა“, „გვანცა“, რომელიც „ფუნთულა“ს ნიშნავს (მდრ. ზმნურ ფორმას – „დაგვანცალებს“), „მეასედი“, „თანუა“, „ალესტა“, „გრასტა“, „ტუხა“, „კვარტა“ (კოჭლი), „კვანჩხა“ (თარსი), „გვარდაწი“, „ბათა“ (თანდილაჲა 2013: 48; მგელაძე... 2015: 70-72, 122-123, 126).

გვარის, კერძოდ, გვარ-სახელის აღმნიშვნელად ლაზურში/ჭანურში, ისე როგორც ჭოროხის აუზის სხვა ქართველურ ეთნოგრაფიულ ჯგუფებში, რომლებიც თურქეთში მოსახლეობენ, უპირატესად თურქული წარმომავლობის ტერმინი **სოადი** გვხვდება, ხოლო გვარის მცირე გენეალოგიური ჯგუფის ზოგად აღმნიშვნელად ლაზურმა/ჭანურმა ძველი ქართველური ლექსიკური ერთეულები – **ფლატედი** და **მხუჯუმი** შემოინახა, რომელსაც თურქულიდან დამკვიდრებული სიტყვა **სულალე** ანდა **ყებილე** შეესაბამება. საველე-ეთნოგრაფიულმა დაკვირვებებმა არაერთხელ დაადასტურა, რომ შავშეთსა და ტაო-კლარჯეთში, ასევე, ცენტრალურ თურქეთსა თუ, საერთოდ, ანატოლიაში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლების სოციალურ ურთიერთობათა სისტემაში „სულალე“ ანდა „ყებილე“ იმავე შინაარსობრივი მნიშვნელობის მატარებელი იყო, როგორიც ლაზური/ჭანური „ფლატედი“ და „მხუჯუმი“. თურქულად გაფორმებული გვარებიც კი, რომლებსაც ლაზები/ჭანები პარალელურად ატარებდნენ, ტრადიციული წესით ცალკეულ მემკვიდრეობით ჯგუფად იყოფოდა,

რომელიც, ასევე, მემკვიდრეობითი სახელების მიხედვით ფორმდებოდა. საერთოდ, „ფლატეის“, „მხუჯუდის“, „სულალესა“ და „ყებილეს“ გვერდით ზოგადად ნათესაობისა და ჩამომავლობის აღმნიშვნელად ლაზებში/ჭანებში გვხვდება როგორც ძველი ქართული – ქართველური ტერმინები, მაგალითად, **ნოთესე** (ნათესავი), ისე თურქულიდან შემოსული სხვა სიტყვები – **ჯინსი, ჯიბილეთი, ჯინსი-ჯიბილეთი** (მგელაძე 2015: 48-60; მგელაძე... 2015: 118-127).

ლაზური/ჭანური „ფლატეი“ ქართულ „ფლატესთან“ უნდა იყოს დაკავშირებული. თავად სიტყვა **ფლატე** კი, რომელიც სოფლის სახელად სამცხეშიც დასტურდება, სამხრე-დასავლეთ საქართველოს მთიანეთში „ნაგლეჯის“, „ნაფლეთის“ მნიშვნელობას ატარებს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, მოხვევებსა და ფშავლებში კი „ფლატე“, ერთი მხრივ, სისველისაგან ჩამონგრეული მიწის პირს, ხოლო, მეორე მხრივ, მდინარის ჩამონგრეულ კიდეც, ნაპირს ნიშნავს (ლონტი 1984: 78, 88-89, 548). ასე რომ, ლაზური/ჭანური „ფლატე“ შინაარსობრივად საგვარეულოში გენეალოგიური ჯგუფის ადგილსა და მნიშვნელობას ზუსტად ასახავს. მაგალითად, „**ჩაქირები**ს“ ძირ საგვარეულოში სამი **ფლატე** გამოიყოფოდა, რომლებიც დროთა განმავლობაში გაიზარდნენ, გამრავლდნენ და ხელახლა „იფლატენ“ – დაიყვნენ. ასევეა „მხუჯუდეს“. ლაზურში/ჭანურში „მხუჯუდ“ საერთო წარმომავლობას შეესაბამება და მასში ერთი ჩამომავლობის ადამიანთა ერთობა იგულისხმება. ადგილი შესაძლებელია ლაზური/ჭანური „მხუჯუდ“ კულტურულ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით სვანური „ლამხუბის“ – სამმოს მსგავსი ყოფილიყო და მხარში დგომას, თანადგომას გამოხატავდა, თუმცა არაა გამორიცხული ამ ტერმინთა არა მარტო ტიპოლოგიური, არამედ ფონეტიკური კავშირიც (მგელაძე... 2025: 282-283).

საველე-ეთნოგრაფიული დალიტერატურული წყაროების საფუძველზე არაერთი საინტერესო ლაზური/ჭანური წარმოების მემკვიდრეობითი სახელია დადასტურებული, რომელთაგან ყურადღებას იქცევს **ტულუში, ჯაში** (დასავლეთ საქართველო, გურია), **ხეცია, პატარაია, ნორაკია, ლომაია, კვარაცხელია, ბეჭირიში, ვანილიში (ვანლიში), ჯეგარიში (ჯეგაიში), მემიშიში** (სოფელი სარფი, სოფელი კულე-დიბი), **აზაკიში** (სოფელი სარფი), **თერზიში, იაჯიში, მოშნალიში, თერზიში, იაჯიში, მოშნალიში** (სოფელი კულე-დიბი), **აზაკლიში** (სოფელი ბუჯალი), **აბანოზი, კახალიში** (ნოდედის, ქემალფაშას მიდამოებში), **კარალიში** (სოფელი ბუჯალი), **ჩეხიში/ჩეფიში** (სოფელი ბუჯალი), **შეერიში** (სოფელი ბუჯალი), **ქელერჯიში** (სოფელი ბუჯალი), **კეფალიში** (სოფელი ჭიტა ბუჯალი), **მოშნალიში** (სოფელი ჭიტა ბუჯალი), **აპარალიში** (სოფელი მხიგი), **ბუიქლიში, დალალიში, დიშლიში, იამფერიში, კასიში, ხალილიში, დემირალიში, შაქარიში** (სოფელი მხიგი), **მიდილიში, ქუჩუკ-აბდულიში** (მგელაძე 1961; სიხარულიძე 1977: 48-49, 57-58, 60-62, 64-65; მგელაძე... 2015: 72-73; მგელაძე... 2025), **ბაწაში, თანთუში, მუთინაფე, ხაშაფე, ნარაკია, ბიტია, ჩიჩუა, ანდრაფა, გულავა, თანდილაფა, მეკისქირი, პეტესქირი, სევასქირი, გულაბერი** (ნარაკიძე 1979: 40). ეს გვარები როგორც საქართველოში, ისე ისტორიული ლაზეთის იმ ტერიტორიაზეც გვხვდება, რომელიც ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებშია (ცხადია 2000: 16). უაღრესად საინტერესოა ამ ბოლო ხანებში ლაზეთში/

ჭანეთში სხვადასხვა წყაროთი გამოვლენილი მემკვიდრეობითი სახელები, როგორებიცაა: **კუკაბერი** (სოფელი ჟინი ოგენე), **კულაბერი** (ჭოკალვათი, წალენი ძღემი, ზურხა, არდაშენის ილჩე), **შალამბარი** (მაფავრის ილჩე), **უჯუბერი** (არანაში ათინა), **ბაცხაფე** (ხომრიკითი, ჩარიხოზი, ხაჩანოზი – რიზე), **ლიკეფე** (იქიზდერეს ილჩე, სოფელი ვარდა, ჰაირათის ილჩე, სოფელი ბალაბანი), **გურუფე** (გურიფითი, ვიწე), **გორდავა** (სოფელი ჯიმილი, იქიზდერეს ილჩე), **ჩიჩუვა** (პერონითი, ხოფა), **ბენდავა** (სოფელი მავრანტი, კალიპარაულის ილჩე), **გოგია** (ლიმანი, ხოფის ილჩე), **მანია** (ანისო, ჩაიკარის ილჩე), **კორზია** (ზისინო, ოფის ილჩე), **ზონია** (მესორაში, ჰაირათის ილჩე), **გორგოში** (შარახო, ჩაიკარის ილჩე), **ზონოში**, **კუსტაში** (ზენო, კონდუს ილჩე), **კუსტაში** (ფოტი, კონდუს ილჩე), **ხუბუში** (ანისო, ჩაიკარის ილჩე).

ამ ტიპის ფაქტობრივი მასალის შეკრება კვლავ უნდა გაგრძელდეს, რათა ლაზური/ჭანური მემკვიდრეობითი სახელების სრულყოფილი კატალოგი შეიქმნას (გოგოხია 2017: 38-50). ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ბოლო ხანებში მკვლევართა მიერ XVII-XVIII საუკუნეების ოსმალურენოვან წერილობით წყაროებში ლაზურ/ჭანური სუფიქსებით ნაწარმოები დღემდე უცნობი არაერთი მემკვიდრეობითი სახელი გამოვლინდა (შაშიკაძე 2024). გვიანი შუასაუკუნეების ოსმალურ წყაროებში შეტანილი მემკვიდრეობითი სახელების ბოლოსართთა თავისებურებები გვიჩვენებს, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთში შუასაუკუნეებში არსებობდა ერთიანი მეგრულ-ლაზური/ჭანური (კოლხური) ეთნოსოციალური და ეთნოლინგვისტური ისეთი სივრცე, სადაც მემკვიდრეობითი სახელწოდებათა მსგავს წარმოებასთან გვეკონდასაქმე. ამასთან, გენეალოგიურის სისტემის აგებულება ტიპოლოგიურად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმოდგენილი პატრონიმიული ორგანიზაციის სტრუქტურის ანალოგიური იყო, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ვრცელ ტერიტორიაზე ზანებისა (კოლხების) და იბერიულ-ქართული მონათესავე ეთნოგრაფიული ჯგუფების გენეტიკურ, ეთნოკულტურულ და კულტურულ-ისტორიულ კავშირს.

გვიანი შუასაუკუნეების ოსმალურ წყაროებში უსუფიქსო სახელწოდებებიც გვხვდება, მაგალითად, **პეტრე** (სოფელი ტვალვათი/ხომრეკეთი), **კოჩი** (არჰავის ნაჰიე ბათუმის სანჯაყში), **სავა** (ათინა - ტვალვათის უბანი პაპასკირეთი), **კოკი** (პაზინე, არჰავე), **ხარა** (დუთხე/ათინა), **ჯაბა** (ანარაში/ათინა). 1700-იანი წლების ოსმალურ წყაროებში კი დასტურდება სუფიქსები შემდეგი მემკვიდრეობითი სახელებით:

-**ვა**: **ფელადრია** (ათინას ნაჰიე – სოფელი ფელადრიათი), **ჯეჯვა** (?ჩაჩუა/ჯაჯუა/ჭაჭუა) – სოფელი კოტანო, მაჰალე სინერვა), **კალურივა**, **იოვანვა**, **ბოკულავა**, **ანივა**, **იოსუვა** (ათინას ნაჰიე – სოფელი ღერა/ღერე), **კუტივა**, **ხარავაიდი** (სოფელი ანარაში/პერონო პაპა), **ასივა**, **უჩავა**, **თალახვა** (სოფელი ანარაში; სოფელი ზევანდოსი/სურმენა – არჰავის ნაჰიე ბათუმის სანჯაყში), **ფილანივა** (სოფელი ანარაში; სოფელი ზევანდოსი/სურმენა; სოფელი ვულაკა/მელიმენა/ქივსანი/ლოდრი), **იანივა** (სოფელი ანარაში/ლოლოდი), **კალუვა**, **ხალმაგავა**, **კოკოვა**, **მელია**, **პალინივა**, **ჭანივა** (სოფელი ანარაში შილერიითი), რომელიც, როგორც ჩანს, იგივეა, რაც XVII-XVIII საუკუნეების ოსმალურ წყაროებში ბათუმის სანჯაყის არჰავის ნაჰიეში დადასტურებული **ჭანი**, **კანტივა** (სოფელი ფელადრიათი; სოფელი

ანარაში შილერითი), **ჭურჭავა** (სოფელი ტავლათი/ანჯიხა), **ქარდაღვა** (სოფელი ტავლათი/ჯიჯივათი), **ხორავა** (სოფელი ტავლათი/ჩექერთურა), **კორივა** (სოფელი ტავლათი/მესოპოტამია), **პაპავა** (სოფელი ტვალვათი/ხომრეკეთი), **ტურჩევა**, **კარსვა** (სოფელი ვულაკა/არმიხალი), **კუკავა/კოკავა** (სოფელი ზევანდოსი/ხანჩკუნი), **ფოჩხვა** (სოფელი ვულაკი), **თევდორავა**, **ბუკსვა**, **შელიავა**, **ჩეჩევა** (სოფელი ლარონი), **ფაჩვა**, **ჭინჭივა** (სოფელი ვენექი/ანაპია ავრამი), **ბუკავა** (სოფელი ვენექი/ზელექი), **სოსოვა** (სოფელი პაპათი/კალი), **დადივა** (სოფელი ღვრელითი/დადივათი), **ასტრადივა** (სოფელი ღერა/ღერე; სოფელი ღვრელითი/კორდითი), **გორდავა** (სოფელი ჯიმილი – იქიზდერეს ილჩე), **ჩიჩუვა** (პერონითი, ხოვა), **ბენდავა** (სოფელი მავრანტი – კალიპარაულის ილჩე);

-**ია**: **ფილანია**, (ათინას ნაპიე, სოფელი ფელაღრივათი), **სალია** (ათინას ნაპიე სოფელი ლარონი და სოფელ კოტანოს მაჰალე სინერვა), **მელია** (ათინას ნაპიეს სოფლები ვულაკა, ვენექი); **ქესანია** (სოფელი ანარაში შილერითი), **ბეგია** (სოფელი ანარაში შილერითი; სოფელი ლარონი), **შალვია** (სოფელი ვულაკა/მელიმენა/ქივსანი/ლოდრი), **კახაია** (სოფელი ვულაკა/მელიმენა/ქივსანი/ლოდრი), **თორია** (სოფელი ვულაკა/მელიმენა/ქივსანი/ლოდრი), **შელია** (სოფელი ლარონი; სოფელი ვენექი/ანაპია ავრამი), **მანია** (სოფელი ვენექი/ანაპია ავრამი); **ბასილია** (სოფელი ვენექი/ზელექი), **ზახალია** (სოფელი პაპათი, მაჰალე ლამლო), **გოგია** (ლიმანი, ხოვის ილჩე), **მანია** (ანისო, ჩაიკარის ილჩე), **კორზია** (ზისინო, ოვის ილჩე), **ზონია** (მესორაში, ჰაირათის ილჩე), **ბერანია**, **ჭართია**, **ელია**, **ანდრევა**, **ბაჩივა**, **გოგოვა**, **ვანვა**, **კომავა**, **კუტივა**, **კონდივა**, **კორტივა**, **კუდივა**, **კუტივა**, **კუპრავა**, **მანდვა**, **მონივა**, **საკალი/საკალავა**, **სალავა**, **სანდავა**, **ჩოთოვა**, **ჭანკრევა**, **ჭერჭერვა**, **ჭუკალვა** (არჰავის ნაპიე ბათუმის სანჯაყში), **ბინდვა** (მოკსოხორა, არჰავე);

-**უა**: **მელუა** (სოფელი ანარაში ლოლოდი), **მორხუა** (სოფელი ვალვათი/აფსუ), **ჭოჭუა** (სოფელი ზევანდოსი/ხანჩკუნი; სოფელი ლარონი; სოფელი მამაკვათი), **მანუა**, **ბერქუა** (არჰავის ნაპიე ბათუმის სანჯაყში), **ბერესქუა** (ათინას ნაპიე – სოფელი ფელაღრივათი; სოფელი ღერა/ღერე; სოფელი ტავლათი/ჩექერთურა);

-**იან/-ან**: **კოთიანი** (სოფელი ლარონი); **კვარსანი** (სოფელი ვენექი/ანაპია ავრამი), **რომიანი** (ათინას ნაპიე, სოფელი ღერა/ღერე), **ქეთუშანი** (სოფელი ტვალვათი/პაპასკირეთი); **კოდიანი** (სოფელი პაპათი, მაჰალე კოდიანი), **ანდვანი** (არჰავის ნაპიე ბათუმის სანჯაყში), **მელმანა** (არჰავის ნაპიე ბათუმის სანჯაყში), **ანდიანი** (არჰავის ნაპიე ბათუმის სანჯაყში), **მანიანი** (არჰავის ნაპიე ბათუმის სანჯაყში), **სუსანი** (არჰავის ნაპიე ბათუმის სანჯაყში), **ჩაჩორიანი** (არჰავის ნაპიე ბათუმის სანჯაყში), **ხაჯალი** (არჰავის ნაპიე ბათუმის სანჯაყში);

-**არ**, **-ურ** და **-ალ**: **შაბური/საბური** (ათინას ნაპიე, სოფელი ღერა/ღერე), **ნოხსური** (სოფელი ანარაში ლოლოდი), **თექფური** (სოფელი მამაკვათი), **ბერბერი** (მოკსოხორა, არჰავე);

-**(ე)ფე**: **ბაცხაფე** (ხომრიკითი, ჩარიხოზი, ხაჩანოზი – რიზე), **ლიკეფე** (იქიზდერეს ილჩე, სოფელი ვარდა, ჰაირათის ილჩე, სოფელი ბალაბანი), **გურუფე** (გურიფითი – ვიწე);

-**ბერ (ზარ): კუკაბერი** (სოფელი ჟინი ოგენე), **კულაბერი** (ჭოლაკვათი, წალენი ძღემი, ზურხა, არდაშენის ილჩე), **უჯუბერი** (არანაში ათინა), **ბერანო, ბერკოსტანი, ბერო, ბერე** (არჰავის ნაჰიე ბათუმის სანჯაყში), **შალამზარი** (მაფავრის ილჩე);

-**სკირი (-სქური): ქესკირი** (ჭუკალვათი/ათინა), **მათესკირი** (მეშობალაკი/ათინა), **პასკირი** (სოფელი ანარაში მელიმენა, პუპულა), **პაპასკირი** (სოფელი ტავლათი/ჯიჯივათი; სოფელი პაპათი, მაჰალე ლამლო), **პაპასკური** (სოფელი ტვალვათი/ბოჩანი), **პეტრესკირი** (ვულაჰა და ღავრელითი/ათინა, ვიწე/არჰავე), **მელიქისკირი** (ვიწე/კეშმანი, არჰავე), **ჭანისკირი** (კისე, არჰავე), (სოფელი ზევანდოსი/სურმენა; სოფელი პაპათი, მაჰალე ლამლო), **სავასკირი** (სოფელი ტავლათი/ჩექერთურა).

-**(ი)ში: გორგოში** (შარახო – ჩაიკარის ილჩე), **შარაში** (ფელედრივათი – ათინა), **ხუბუში** (ანისო – ჩაიკარის ილჩე), **ზონოში, კუსტაში** (ზენო – კონდუს ილჩე), **კუსტაში** (ფოტი – კონდუს ილჩე), **ანურიში** (ათინას ნაჰიე – სოფელი ხუდისა), **ანარაში** (სოფელი ანარიში/პერონო პაპა), **მანიში/იანიში, პაპაში** (არჰავის ნაჰიე ბათუმის სანჯაყში).

გვიანი შუასაუკუნეების ოსმალურ წყაროებში, რომელთა ერთი ნაწილი უკვე ქართულად ითარგმნა და სათანადოდ გაანალიზდა, გარკვეული სუფიქსური წარმოების სხვა მემკვიდრეობითი სახელებიც დასტურდება, რაც შემდგომში კოლხთა შთამომავლების ამ ტერიტორიულ სივრცეში ეთნოსოციალური ისტორიის არაერთ საინტერესო ფურცელს გადაშლის (შაშიკაძე 2024; მგელაძე... 2025). ლაზურ/ჭანურ მემკვიდრეობითი სახელებთან დაკავშირებით დამატებით უნდა შევნიშნოთ, რომ XVII-XVIII საუკუნეების ოსმალურ წერილობით წყაროებში გამოვლენილია სხვადასხვა ტიპის ისეთი მემკვიდრეობითი სახელებიც, რომლებიც არა მარტო ლაზების/ჭანების, არამედ, როგორც ჩანს, ეთნოკონფესიურად განსხვავებული, შესაძლოა ბერძნების ანდა ბერძნულ ეთნიკურ გარემოცვაში შერწყმული (გაბერძნებული) ლაზების/ჭანების სპეციფიკური ბოლოსართებით გაფორმებული გენეალოგიური ჯგუფების სახელებსაც აღნიშნავდა. შესაძლოა ასეთები იყოს: **სარდაქი, ლოდრი/ზოტრი, სელანიქი** (სოფელი ანარაში პერონო პაპა), **მელიმენა** (სოფელი ანარაში/ლოლოდი; სოფელი ანარაში პუპულა; სოფელი ანარაში მელიმენა), **ქესანიდი** (სოფელი ანარაში პუპულა), **პაპა ზელექი, დიურანი** (სოფელი ანარაში შილერიტი), **ისულა, სარარა** (სოფელი ანარიში/ისულა), **ხარავიდი** (სოფელი ანარაში შილერიტი; სოფელი ანარაში ნოღანდიხა), **საღარა** (სოფელი ანარაში პერონო პაპა; სოფელი ანარაში ქედათი), **მელიქი** (სოფელი ანარაში ქედათი), **ურუმი, ჯაჯარიდი** (სოფელი ანარაში ნოღანდიხა), **კავალაზი** (სოფელი ანარაში შილერიტი; ათინას ნაჰიე – სოფელი ხუდისა), **ხარავითისა, მაგალი, სუმლე, ჩაბუქი, ზელექისა** (ათინას ნაჰიე – სოფელი ფელადრივათი), **ვერუჯე, ბუსური** (ათინას ნაჰიე – სოფელი ღერა/ღერე), **სარქიზი, ჯულუდი, იქსენითი, პაპა დოჰულის, აკსენდი, ღულაფეს, პერონი-პაპა** (ათინას ნაჰიე – სოფელი ხუდისა), **კომილო** (სოფელი ტავლათი ანჯიხა), **ხომერიკი** (სოფელი ტვალვათი/ხომრეკეთი), **ბაგრატი** (სოფელი ზევანდოსი/სურმენა), **მანველიდი** (სოფელი ზევანდოსი/სურმენა), **ადამი, გორდილი, მანდრი, ქამილი, ხალიგა, ხარა** (არჰავის ნაჰიე ბათუმის სანჯაყში).

XVII-XVIII საუკუნეების ოსმალურ წყაროებში წარმოდგენილ სუფიქსთა ერთი ნაწილი, მაგალითად, **-ია** (ცომაია, დარსალია, ქაჩიზაია, გვარამია, ხოფერია), **-ვა** (კუჭავა, ცანავა, ქართავა, ჩაჩავა, ჯღარკავა) და **-სკირი** (პაპასკირი), თანამედროვე პერიოდში, ძირითადად, სამეგრელოშია გავრცელებული, ხოლო **-ში** – უშუალოდ ლაზებში/ჭანებში. ტრადიციული ლაზური/ჭანური სუფიქსებიდან ცოცხალ ყოფაში დღემდე ასე თუ ისე მაინც მოაღწია **-ში**, **-ია**, **-ვა** ბოლოსართებით გაფორმებულმა ისეთმა გვარებმა, როგორცაა: **ვანილიში (ვანლიში), ჯევაიში, კახაილიში, ბექირიში, ჩეფიში, კაბარია, თანდილავა, ხორავა**. ლაზურმა/ჭანურმა არაერთი საყურადღებო ფორმანტი შემოგვინახა, სადაც ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდისათვის ყველაზე მეტად **-ში** სუფიქსით ნაწარმოები მემკვიდრეობითი სახელები დომინირებს. **-ში** სუფიქსი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტოპონიმيكამ ისეთ დასახლებულ პუნქტებშიც დააკონსერვა, სადაც ლაზები/ჭანები უკვე აღარ მოსახლეობს. ზოგიერთი კოლხური (ზანური) სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი ქართული ფუძისგანაა მიღებული, მაგალითად, **ბაკიში – ქვაბიში, კიბეში, მოთქარიში** (ფალავა 1977: 15-16). ამ მხრივ ჰიდრონიმებიდან ყურადღებას იქცევს **კინტრიში, კინკიშა** და მდინარეთა სხვა მსგავსი სახელწოდებები. ლაზური/ჭანური სუფიქსი **-ში** ასევე ზემო სვანეთში გავრცელებული მცირე გენეალოგიური ჯგუფების – „ლამზუბების“ („სამზუბების“) ისეთ მემკვიდრეობით სახელებში ჩანს, როგორებიცაა: **ბლაშა, თათავშა, ხორგვანშა, მომილშა (გულბანი), კვეტიშა, ლენიშა, აზავშა, გვენეშა, პირველშა, მონიშა, გიოშა, ჯავახშა, ჩიტაიშა** (პირველი) და სხვა მისთანანი (მგელაძე... 1996: 183-198; ჩანტლაძე 1998: 183). **-იში (-ში)** შესაძლოა ერთ-ერთ რეგიონულ ვარიანტს წარმოადგენდეს, თუმცა ერთი რამ ფაქტია, რომ იგი საერთო ქართველური ბოლოსართია, რომელიც ქართველური ფუძე-ენის დაშლის შემდეგ როგორც სვანურმა, ისე ზანურმა (კოლხურმა), კონკრეტულ შემთხვევაში კი – ლაზურმა/ჭანურმა ტოპონიმკამ და მემკვიდრეობითი სახელების ბოლოსართმა შემოინახა. ჩვენ არ გვგონია, რომ შავიზღვისპირეთის გასწვრივ აღმართულ გორა-ბორცვებზე წარმოდგენილ დასახლებებში დადასტურებული სვანურ-ზანური სუფიქსებით გაფორმებული ტოპონიმები აქ ოდესღაც სვანთა განსახლების მომასწავებელი იყოს, არამედ, პირიქით, აღნიშნულ ზონაში ეს ფაქტი ქართველური ენების დიფერენციალური სინამდვილის ანარეკლი ჩანს. ზანური (კოლხური) ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი **-იში (-ში)**, რომელიც კუთვნილება-დანაშინულებას გამოხატავს, ისე როგორც მისი ქართული შესატყვისი **-ის**, დიდი ხნის წინ სიტყვაწარმოებითი ფუნქციით იყო აღჭურვილი. ამას ტოპონიმკაც და ანთროპონიმაც ადასტურებს. ყველა შემთხვევაში სხვადასხვა სუფიქსით ნაწარმოები მემკვიდრეობითი სახელები ეპონიმის პროფესიას, სატომო სახელს, წარმომავლობით ადგილს უკავშირდება. ასევეა **-ში** ბოლოსართიც, რომელიც ეპონიმის სახელს ანდა მეტსახელს ერთოდა და ამ ეპონიმისადმი კუთვნილებას, მისგან მომდინარეობას გამოხატავდა. მაგალითად, გვარსახელი **ტულუში** ტულუს შთამომავალს ნიშნავს, რომელიც იგივეა, რაც **ტულუსი**. ასეთივე წარმოებისაა გვარი **ხალვაში** – ხალვას შთამომავალი, იგივე, **ხალვასი**. „ხალვა“ კი კოლხეთში დადასტურებულ პირ-სახელს წარმოადგენდა.

ხალბაში მაკრიალის სასოფლო საზოგადოებაში შემავალ სოფელთა სიაში არ იხსენიება, მაგრამ ხუთვერსიან რუკაზე იგი მაკრიალის აღმოსავლეთითაა აღნიშნული, რომელიც ედუარდ ლიოზენთან „ხალბაშად“ იხსენიება, ხუთვერსიან რუკაზე – „ხაჩბაშად“, ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს საისტორიო რუკაზე“ კი – „ხალვაშად“. მუხამედ ვანილიში და ალი თანდილაშა „ხარბაშს“ მიუთითებენ (ლიოზენი 1905-1907: 152; სიხარულიძე 1977: 48-49; ვანილიში... 1964: 127, 161. დასტურდება უზნის სახელწოდება **ხალიბაშ ოფუტე**. შესაძლოა „ხალბაშში“ მონაწილეობდეს სიტყვები: „ხაჩი“ (hac'i) – ჯვარი და „ბაში“ (Başı) – თავი (სიტყვასიტყვით: „ჯვარი თავი“). თუ ეს ასეა, მაშინ რთული იქნება „ხალბაშის“ („ხარბაშის“) „ხალვაშთან“ დაკავშირება, რადგან ეს უკანასკნელი აშკარად ლაზური/ჭანური წარმომავლობის მემკვიდრეობითი სახელი ჩანს. აქვე, ამავე კონტექსტში საინტერესოა ისეთი სოციალურად დაწინაურებული საგვარეულოების სახელწოდებები, როგორებიც იყო **ბაღუაში**, **მარუშისძე** („მარუშიანი“ – შდრ. „მარუაშვილი“), **აბაშიძე**. ვფიქრობთ, **-ში (-იშ)** ფორმანტის კვალი ისეთ გვარსახელებშიც უნდა გვქონდეს, როგორებიცაა: **შარვაშიძე (შერვაშიძე)**, **შარაშიძე** და **შარაშია**. საქართველოში და თანამედროვე საქართველოს ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, თურქეთში წარმოდგენილ ისტორიულ ლაზეთში/ჭანეთში, **-ში**-ზე დაბოლოებული გვარები და გენეალოგიურ წარმონაქმნთა მემკვიდრეობითი სახელები (**ტულუში**, **ჯაში**, **ბურთაში**, **თანალიში**) დღემდე შემორჩა, რომელთა წარმომავლობა ჩვენ კოლხური (ზანური) კულტურის წიაღში უნდა ვეძებოთ. საერთოდ, ლაზებში/ჭანებში ცნობილია ისეთი გვარსახელებიც, რომლებიც საქართველოს მეზობელი კუთხეების გვარ-სახელებთან პირდაპირ კავშირს ავლენს. ასეთებია: **ჯორდანოღლი**, იგივე **ჯორდანია** (ჟორდანია), **ჩიჩოღლი** (ჩიჩუა), **ხოჯიოღლი** (ხარამე?). ლაზური/ჭანური „ხოჯი“ იგივეა, რაც ქართული „ხარი“. სხვა მხრივ საყურადღებოა ლაზური/ჭანური გვარ-სახელები: **პულია**, **კუბინი** („კუბინოღლი“), **თიბუკი**.

ლაზურ/ჭანურ მემკვიდრეობით სახელებში არანაკლებ საინტერესოა **-სქირ (-სკირ)** სუფიქსი, რომელიც ლაზურში/ჭანურში ასევე დამოუკიდებელი სიტყვაა და „შვილს, ვაჟიშვილს, ბიჭს“ აღნიშნავს. ლაზურ/ჭანურ „სქირში“ („სქ-ირში“//„სკ-ირში“), რომელიც ქართული შვილის კანონზომიერი შესატყვისია, **-ვ** დაკარგულია. ლაზურში/ჭანურში უნდა ყოფილიყო „სქვირ“ (სკვ-ირ). ლაზურში/ჭანურში იგი საკმაოდ იშვიათია და მის ნაცვლად გამოყენებულია „ბერე“. მიუხედავად მისი იშვიათი ხმარებისა, აღნიშნული ძირი ლაზური/ჭანური ლექსიკის ძირითად კუთვნილებას წარმოადგენს. შვილის აღმნიშვნელი ეს ძირი შემორჩენილია მეგრულშიც: „სქუა“ < „სქუ-ალ“. არნოლდ ჩიქობავას თანახმად, მეგრული ვარიანტი იმითაა საინტერესო, რომ მასში დაცულია ის **უ < ვ**, რომელიც ლაზურ/ჭანურ „სქ-ირში“ დაკარგულია (ჩიქობავა 1938: 21). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ თავდაპირველად ეს სიტყვა უფრო ზოგადი სოციალური შინაარსის გამომხატველი იყო და აღნიშნავდა გვარისა და თემისადმი კუთვნილებას, ამასთან, მას შეეძლო ადგილის სახელებიც ეწარმოებინა (მიქელაძე 1960: 186; 1974: 98-99). იგი ადგილის სახელებსაც აწარმოებდა. დასავლეთ საქართველოში, ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე, „სკირი-თ“ ნაწარმოები საგვარეულოები და

გვარსახელური წარმოშობის ადგილთა სახელწოდებანი დღესაც გვხვდება. სამეგრელოში ასეთია „წულესკირი“ და თეკლათის უბანი „საწულესკირო, „გოლასკური“ უბანი (სენაკის რ-ნი). მკვლევართა აზრით, ხალიბებისა თუ მათგან დასავლეთით მცხოვრები მოსახლეობის ზანურენოვნების ერთ-ერთ საბუთს, შესაძლოა, ისტორიული წყაროებში ცნობილი ტოპონიმი „თემისკირა“/თემისკური“ (Θεμισκίρα) წარმოადგენდეს (მიქელაძე 1960: 186; 1974: 98-99). „თემისკირა“/თემისკური“ თანამედროვე სამსუნის ყურის აღმოსავლეთითაა ლოკალიზებული., დასაშვებია იგი სინოპის სამხრეთ-აღმოსავლეთით ლაზური/ჭანური ტომის ხალიბების ქვეყანაში არსებული ველი იყო. ბუნებრივია, ამ მხრივ ყურადღებას იქცევს „მექესკირი“ც, რომელიც შავის ზღვის სანაპიროზე ლაზებით/ჭანებით დასახლებულ ტერიტორიაზე რიზეს აღმოსავლეთით მდებარე პუნქტს ეწოდებოდა. იქვეა თავის დროზე იოსებ ყიფშიძის მიერ დადასტურებული სოფელი „მეკალესკირითი“ც“ (ყიფშიძე 1937: 168). „სკირ“ზე დაბოლოებულიადგილის სახელწოდებები დამახასიათებელი იყო ზანური (კოლხური) – მეგრული და ლაზური/ჭანური ტოპონიმიკისათვის, რის საფუძველზეც ფიქრობენ, რომ ტოპონიმ „თემისკირა“ში“ ბოლოსწინა ხმოვანი -ს ნაცვლად -თ-თაა გადმოცემული, ხოლო მეგრულ-ჭანური „სკირი“ს არქეტიპი „სკკრი“ უნდა ყოფილიყო. ამიტომ, „Θεμισκίρα“ში“ „ვი“ კომპლექსი იქნებოდა მოცემული. თერმოდონტის ველზე, პომპონიუს მელას მიერ დასახლებულია ქალაქის – „თემისკური“ს“ (Temiscurum Oppidum) სახელწოდება, რომელიც „თემისკირი“ს“ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს. ამ ტოპონიმის მნიშვნელობის დადგენისას სწორედ ამის გამო ღებულობენ მხედველობაში მეგრული „სკურ“ ელემენტის შემცველი იმ ტოპონიმების არსებობას, რომლებიც უპირატესად ღელეების აღსანიშნავად გამოიყენებოდა და რომელსაც, როგორც ჩანს, უნდა უკავშირდებოდეს მეგრული სიტყვა „სქეური“ – მშრალი, „ნოსკირი“ – დანაშრობი. სიტყვა „ნოსკირი“დან“ ნაწარმოები ჩანს თანამედროვე სოფლის ნოსირის სახელწოდება, რაც შესაძლოა ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს მიერ კოლხეთში აგებული ციხე-სიმაგრის „ლოსორიონი“ს“, იგივე, „ლოსირისი“ს“ სახელწოდებაში იყო ასახული, შესაბამისად, მაცდუნებელი ხდება თემისკირის დაბლობზე მოსახლე სტრაბონთან მოხსენიებული „სირები“ს“ (ლევკოსირების) ტომის სახელწოდების ზანურ **სკირ- (სკურ-)** ძირთან დაკავშირების შესაძლებლობა (ქავთარაძე 1985: 30-31).

ლაზურში / ჭანურში უაღრესად საინტერესოა მემკვიდრეობითი სახელების საწარმოებლად „ბერეს“ გამოვლენა, რომელიც „შვილს“ აღნიშნავს. ასეთებია: **ბერესქუა, ბერანო, ბერანია, ბერაქუა.**

ლაზურში/ჭანურში ცალკე უნდა გამოიყოს -**ფხე** დაბოლოება, რომელსაც სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. -**ფხე/-ხე** ქალის წარმომავლობის გადმოსაცემად მეგრულ-ლაზურსა/ჭანურსა და დასავლურ დიალექტებში (ქვემოიმერული, გურული, აჭარული – ქობულეთური) იხმარებოდა, ვთქვათ ასე: დუნდუხე, ცომაიხე, კვირკვიხე – სამეგრელო; ბაუჟაფხე, ელიაფხე – კინტრიშის ხეობა, ქობულეთი (მგელაძე 1988: 10-12). ისტორიულად საქართველოში მისი გავრცელების არეალი უფრო ფართო უნდა ყოფილიყო. იგი „ტბეთის სულთა მატთანემიც“ დასტურდება, მაგალითად, **მაძაფხე, შერაფხე, ნიკოლაფხეშვილი** და სხვა მისთანანი (ენუქიძე 1977: 22, 167). ქართული ენის დიალექტებისაგან განსხვავებით „მატიანეში“ „ფხე“ს

მნიშვნელობა ნაწილობრივ მოდიფიცირებულია და „ფხე“ ქალის მამისეულ მემკვიდრეობით სახელს ყოველთვის კი არ დაერთვის, არამედ ფუძეში გაქვავებულია და მის შემადგენელ ნაწილადაა ქცეული. ქართველური ყოფის სინამდვილიდანაც, კერძოდ ლაზურიდან/ჭანურიდან, „ხე’ს“//ფხე’ს“ მონაწილეობით უკვე ცნობილია მემკვიდრეობითი სახელის ჩამოყალიბების ამგვარი პროცესი. ლაზურში/ჭანურში **კეტიში** მემკვიდრეობითი სახელი იყო, რომელიც შემდეგში გამოყენებულ იქნა გათხოვილი ქალის მამისეული გვარეულობის საწარმოებლად – **კეტიფხე**. კეტიფხედან გარკვეული მიზეზით კვლავ წარმოიქმნა მამისეული ხაზის ახალი მემკვიდრეობითი სახელი – **კეტიფხეში** (სიხარულიძე 1977). სხვათა შორის, „კეტიფხე’ს“ ანალოგიური წარმოება გვაქვს ლაზურ/ჭანურ „პეპიფხე’სა“ და სოფელ სუმლეთში (თურქეთის რესპუბლიკა) ფიქსირებულ „კანიფხე’ში“. ორმაგი დაბოლოებით ანალოგიური გზით ჩანს მიღებული „ტბეთის სულთა მატიაწე’ში“ დამოწმებული მემკვიდრეობითი სახელი **ნიკოლაფხეშვილი**, რომელშიც „ფხე’ს“ თავდაპირველი ფუნქცია მივიწყებული იყო (ენუქიძე 1977: 22, 167). საწყის ეტაპზე იგი „ნიკოლას ქალის შვილს“ ნიშნავდა (მგელაძე... 1995: 20-21; 1998: 4).

ლაზურში/ჭანურში მნიშვნელოვანია **(ე)ეფე** დაბოლოება: **ლიკეფე** (იქიზდერეს ილჩე – სოფელი ვარდა, ჰაირათის ილჩე, სოფელი ბალაბანი), **გურუფე** (გურიფითი, ვიწე), **ბაცხაფე** (ხომრიკითი, ჩარიხოზი, ხაჩანოზი – რიზე). ლაზურში/ჭანურში **-ფე/-ეფე** სუფიქსები ჩვეულებისამებრ მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელია. იგი ქართული ებ’ის კანონზომიერი ფონეტიკური და ფუნქციური შესატყვისია. ინფორმატორთა ცნობებზე დაყრდნობით ნიკო მარი მას თურქული -ოღლი’ს და ქართული შვილის თანაბარ ფორმად განიხილავდა: **ხაშაფე – ხაშოღლი** (მარი 1910: 615, 627). სოფელ სარფის მემკვიდრეობითი სახელებისაგან ნაწარმოები უზნების სახელებია: **თანდილლაფა-ეფეშ ოფუტე** (თანდილავების უბანი), **ჯეგარიშ-ფეშოფუტე** (ჯეგარიშების ოფუტე), **კოხაში-ეფეშოფუტე** (კოხაიშების ოფუტე), **მაისკიეშ-ეფეშ ოფუტე** (მაისკიების უბანი). ვფიქრობთ, გასაზიარებელია ვარაუდი, რომ **-ფე -ფხე’საგან** განვითარდა (მგელაძე 1964: 97-99). სხვათა შორის, ჩერქეზულში, რომელსაც გრამატიკული სქესი არ გააჩნია, ჰაინრიხ იულიუს ფონ კლაპროთზე დაყრდნობით, **-ხე** ფორმატს ივანე ჯავახიშვილი მრავლობითი რიცხვის ბოლოსართად ადასტურებდა (ჯავახიშვილი 1937: 26). **-ხ** მრავლობითის ფორმანტად სვანურშიც გვხვდება (თოფურია 1967: 1, 4-5, 15-16). სვანური მრავლობითის **-ხ** სუფიქსს ჩერქეზულის მრავლობითის **-ხ** სუფიქსთან კავშირშიც განიხილავენ (ჯანაშია 1959: 94, 101-102). თუ ქართველური **-ფხე’/-ხე** და **-ხე’/-ხ** მრავლობითის სუფიქსი ერთი და იმავე წარმოშობისაა (ხე < ფხე’საგან), მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ფხე’ს ისტორიულად რიცხვის აღნიშვნაც ეკისრებოდა, უფრო სწორად, იგი ქალის პატრიარქალური სახლეულიდან წარმომავლობას აღნიშნავდა რომელიც შედგებოდა არა ერთი ოჯახისაგან, არამედ იგი მონათესავე ოჯახების სიმრავლეს წარმოადგენდა. ამდენად, დუნდუხე (დუნდუფხე) ნიშნავდა არა „დუნდუას ქალს“, არამედ „დუნდუების ქალს“. ამის დასტურად გამოდგება, ერთი მხრივ, ლაზური/ჭანური **-ეფე’/-ფე (<ფხე)** და, მეორე მხრივ, სვანურსა და ჩერქეზულში დადასტურებული **-ხე’/-ხ** მრავლობითის სუფიქსი (მგელაძე 1998: 5).

ტრადიციულად **-სქირ** (-სკირ), **-ში**, **-ვა**, **-ია** და სხვა კოლხურისათვის დამახასიათებელი მსგავსი სუფიქსები ლაზურ/ჭანურ მემკვიდრეობით სახელებსაც ერთოდა, თუმცა უკვე გვიანი შუასაუკუნეების მიწურულს ლაზები/ჭანები თურქულ გვარსაც თავისებურად ცვლიდნენ: თანთ-ოლლი – თანთუში, ჩებ-ოლლი – ჩებიში, კიტირ-ოლლი – კიტირიში, სოფ-ოლლი – სოფიში. **-ში** არის ნათესაობის ბრუნვის ნიშანი, შესაბამისად, იგი კუთვნილების შინაარსის მატარებელიცაა. რადგან დაბოლოება **-ში** ლაზურად/ჭანურად კუთვნილებას ასახავდა, ამიტომ მემკვიდრეობით სახელებში იგი წინაპრისადმი შთამომავლობის მიკუთვნებულობას, საერთო წინაპრიდან წარმომავლობით ერთობას გამოხატავდა: „მიში რე“ (ვისი ხარ), „თანთუში“ – „თანთუსი“, ე. ი. „თანთუსის ვარო“. XIX საუკუნის მიწურულისათვის ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ნამდვილი ლაზური/ჭანური გვარები: ნარაკია, ჟორდანია, პაპასკირი, წულეისკირი, ჩიქოვანი.

1931 წლიდან თურქეთში რეფორმებთან შესაბამისობაში ტრადიციული მემკვიდრეობითი სახელები შეიცვალა, რის გამოც 1935 წლიდან ლაზებმა/ჭანებმა ახალი გვარების – „სოიადების“ ტარება დაიწყეს, თუმცა ახალი გვარების პირობებში გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ლაზეთში/ჭანეთში დასახლებული ესა თუ ის საგვარეულო წარსულში უფრო ძველ გენეალოგიურ განშტოებებთან იყო დაკავშირებული, რომელთა სახელწოდება, ზოგ შემთხვევაში, მთხრობელთა მეხსიერებაში დღესაცაა შემონახული. მაგალითად, კახაილიშის, კახიძის, ჯევაიშის, ბეჩიროლლის, ბეჩირიშისა და ბაქრადის საგვარეულოთა წევრები ერთმანეთთან საერთო წინაპრით იყვნენ დაკავშირებულნი. მათგან შედარებით ადრეულად კარახალილოდლები მიიჩნევა (მგელაძე 1961). სოფელ სარფში ჯევაიშები საქართველოს მხარეს არიან განსახლებულნი, თურქეთის მხარეს არ ცხოვრობენ (მგელაძე 2014ა; მგელაძე 2014ბ). ასევე, სოფელ სარფში ხორავების ძველი გენეალოგიური განშტოების სახელწოდება „ხირალოდლი“ ყოფილა, ხოლო უფრო ადრინდელი – „ვანილიოლი“. ამ ნათესაურ გაერთიანებათა წარმომადგენლები თვლიან, რომ ყველანი ვანილიშიდან არიან ამოზრდილნი და განტოტებულნი. საერთოდ, ვანილიშების გენეალოგიური ჯგუფიდან „კაბაოსმანოლლები“, „ხირალოდლები“ და „კაბამემედოლლები“ განშტოვდა. მათგან ხირალოდლები დღეს ხორავად იწერებიან, კაბამემედოლლები – კაკაბაძედ, ხოლო კაბაოსმანოლლები – თურქეთში მდებარე სარფის ტერიტორიაზე ცხოვრობენ (კაკაბაძე 2015).

ამდენად, საველე-ეთნოგრაფიული წყაროებით დგინდება, რომ ვანიოლლების (ვანილიში), კაბაოსმანოლლების (ვანილიში), ხირალოდლებისა (ხორავა) და კაბამემედოლლების (კაკაბაძე) საერთო ძირი – ვანილიში იყო, რომელიც ოსმალობის მმართველობის ხანაში „ვანიოლი“^ს სახელწოდებით იყო ცნობილი. თავად ამ საგვარეულოს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ XX საუკუნის შუა ხანებში, საქართველოში მუსლიმანური გვარებისა და სახელების შეცვლა დაიწყო. ამიტომ ვანიოლლები საქართველოს მხარის სარფში წინაპართაგან მომდინარე ტრადიციული ლაზური/ჭანური გვარ-სახელური წარმოების წესს დაუბრუნდნენ და ვანილიშებად დაიწერნენ, თუმცა საერთო ძირიდან მომდინარე სხვა გენეალოგიურმა შტოებმა გარკვეული მიზეზის გამო საგვარეულო სახელწოდებებად განსხვავებული გვარ-სახელები აირჩიეს – ვანიოლლების

საგვარეულოში კაზამემედოღლების ნათესაური განშტოება კაკაბადედ გადაიქცა, ხირალოღლების კი – ხორავად. მემკვიდრეობითი სახელების თაობათა შორის ცვლილებები ამა თუ იმ ნათესაური ჯგუფის გენეალოგიურ სტრუქტურაში მკაფიოდ ჩანს. ამგვარად, ერთი საერთო ძირიდან შესაძლოა რამდენიმე გენეალოგიური განშტოება განვითარებულიყო და ეს პატრონიმიული ორგანიზაციის ინტენსიური სეგმენტაციის პირობებში ქართველური საგვარეულო სისტემისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო, ხელშემწყობი მიზეზები კი – სხვადასხვა, კერძოდ, გვარის ბუნებრივი ზრდის პროცესი, პოლიტიკური, მიგრაციული და ეკონომიკური ფაქტორები. აქ კარგად ჩანს, რომ მემკვიდრეობითი სახელის ძირითადი ფუნქცია მცირე გენეალოგიურ ჯგუფებს ჰქონდათ შეძენილი, რომლებიც -ოღლი სუფიქსის დართვით იწარმოებოდა, მაგალითად, „თანთოღლი“. ვფიქრობთ, „თანდილაგა“თა“ გვარს მცირე გენეალოგიური ჯგუფის მემკვიდრეობითი სახელი უნდა დადებოდა საფუძვლად. ამ გაერთიანების წინაპრის საკუთარი სახელისაგან ნაწარმოები მემკვიდრეობითი სახელი „თანთოღლი“ გვიან გვარად იქცა, რითაც თანთოღლებს გვარ-სახელი თანდილაგა გაუფორმდა. ასე გადაიზარდა ჯეგაროღლები – ჯეგაიშებში, ნუმანოღლები – ნუმანიშვილებში, მემიშოღლები – მემიშიშებში, აბდულოღლები – აბდულიშებში. შემდეგში, ლაზეთში/ჭანეთში -ოღლი ფორმანტით გვარ-სახელები კი არ იწარმოებოდა, არამედ გვარში წარმოქმნილი გვიანპატრონიმიული შტოების მემკვიდრეობითი სახელები, მაგრამ რადგან საქართველოში გვარ-სახელები, ხოლო თურქეთში სოიადები უკვე საპასპორტო სისტემით იყო დადასტურებული, აღნიშნული მემკვიდრეობითი სახელები, მიუხედავად გენეალოგიური განვითარებისა, გვარად ვერ ყალიბდებოდნენ და, შესაბამისად, გვარ-სახელად ვერ ფიქსირდებოდნენ. ზოგიერთ გვარს კი -ოღლი ფორმანტით გაფორმებული გენეალოგიური სეგმენტი საერთოდ არ გააჩნდა.

დასკვნა

ამრიგად, ოსმალთა მმართველობის პერიოდში ლაზურმა/ჭანურმა, ისე როგორც მეზობელი აჭარის ქართულენოვანმა მოსახლეობამ, მამაპაპური მემკვიდრეობითი სახელები მეტ-ნაკლებად დაკარგა, მაგრამ პატრონიმიული ორგანიზაციის სტრუქტურა და გვარის ტრადიციული წარმოების მამა-პაპური გენეალოგიური წარმოების წესი შეინარჩუნა, რაც მამის სახელის თაობიდან თაობაში გადასვლასა და შთამომავლობითი გენეალოგიური ხის წარმოქმნაში, წინაპრის, კერძოდ, ეპონიმის სახელის ხანგრძლივად შემონახულობაში გამოიხატებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგოხია 2017: გოგოხია ბ., ლაზური გვარსახელები (ლაზური ანთროპონომიის საკითხები). თბილისი, 2017.

ენუქიძე 1977: ენუქიძე თ.. ტბეთის სულთა მატთანე. გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თ. ენუქიძემ. თბილისი, 1977.

ვანილიში.. 1964: ვანილიში მ., თანდილაგა ა., ლაზეთი. თბილისი, 1964.

თანდილაგა 2013: თანდილაგა ალ., ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენაფუნა). თბილისი, 2013.

თოფურია 1967: თოფურია ვ.. შრომები. ტომი I. თბილისი, 1967.

კაკაბაძე 2015: მთხრობელი: ნოდარ კაკაბაძე, 79 წლის, სოფელი სარფი (საქართველოს მხარე). ნ. მგელაძე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, სოფელი სარფი, 2015.

მგელაძე 1961: მგელაძე ვლ., 1961 წლის სოფელ სარფში ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები. პირადი საოჯახო არქივი, ბათუმი.

მგელაძე 1964: მგელაძე ვლ., ლაზური დასახლების მორფოლოგიის ძირითადი საკითხები. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, III. თბილისი, 1964.

მგელაძე 1988: მგელაძე ნ., -ზე (ფზე) სუფიქსის სემანტიკისათვის. ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საენათმეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბილისი, 1988.

მგელაძე...1995: მგელაძე ნ., ფაღვაძე მ., კავკასიის ხალხთა ეთნოლინგვისტური ურთიერთობების ისტორიიდან: 1. ხე/ფზე სუფიქსი. რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია. თბილისი, 1995.

მგელაძე... 1996: მგელაძე ნ., მიქელაძე ჯ., მასალები საცხოვრებელ კომპლექსსა და სოციალურ ურთიერთობათა საკითხებზე ბალსზემო სვანეთში. კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიეზანი საქართველოში, I. ბათუმი, 1996.

მგელაძე..., 1998: მგელაძე ნ., ფაღვაძე მ., ფზე/ზე – ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, II. ბათუმი, 1998.

მგელაძე 2014ა: მგელაძე ნ., საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, 23 აგვისტო, სოფელი სარფი, საქართველოს მხარე, 2014.

მგელაძე 2014 ბ: მგელაძე ნ., საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, სოფელი სარფი, მარტი, თურქეთის მხარე, 2014.

მგელაძე 2015: მგელაძე ნ., კოლხური (მეგრულ-ლაზური) ნათესაობის ტერმინთა შედარებითი ანალიზისათვის. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, 2015..

მგელაძე... 2015: მგელაძე ნ., ვარშალომიძე ჯ., მიქელაძე ჯ., სარფი – ეთნოგრაფიული პორტრეტი. სარფი, ბათუმი, 2015.

მგელაძე... 2025: მგელაძე ნ., ტუნაძე თ., ნარაკიძე ც., თანდილაძე ლ., თანდილაძე ი., ჯღარკავა მ., მგელაძე ბ., ლაზური ეთნოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, 2025.

მიქელაძე 1960: მიქელაძე თ., ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობების გენეზისისათვის. მოამბე, №2, თბილისი, 1960.

მიქელაძე 1974: მიქელაძე თ., მიეზანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II-I ათასწლეულები). თბილისი, 1974.

ნარაკიძე 1979: ნარაკიძე ც., ზოგი კოლხური გვარსახელის შესახებ. XVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები. თბილისი, 1979.

სიხარულიძე 1977: სიხარულიძე ი., ჭანეთი (ლაზეთი). საისტორიო გეოგრაფიის მასალები, I, ბათუმი, 1977.

ფაღვაძე 1977: ფაღვაძე მ., სოფელ ჩაისუბნის (ხელვაჩაურის რაიონი) ტოპონიმთა შესწავლისათვის. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები. სოხუმი, 1977.

ქავთარაძე 1985: ქავთარაძე გ., ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის. თბილისი, 1985.

ღლონტი 1984: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. თბილისი, 1984.

ყიფშიძე 1937: ყიფშიძე ი., ჭანეთში მოგზაურობა: I. საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წ. ზაფხულს; II. მივლინების დღიური (1917 წ. ზაფხულს 13.VII-27.VIII). ენიმკის მოამბე, I. ტფილისი, 1937.

შაშიკაძე 2024: ორი ოსმალური დავთარი ბათუმის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა შაშიკაძემ. თბილისი, 2024.

ჩანტლაძე 1998: ჩანტლაძე ი., ახალი კულტუროლოგიური კრებული ენათმეცნიერის თვალით. ქართველური ონომასტიკა, I. თბილისი, 1998.

ჩიქობავა 1938: ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრული შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 1938.

ცხადაია 2000: ცხადაია პ., გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. თბილისი, 2000.

ჯავახიშვილი 1937: ჯავახიშვილი ივ., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. ტფილისი, 1937.

ჯანაშია 1959: ჯანაშია ს., სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები. შრომები, III. თბილისი, 1959.

Лиозен 1905-1907: Лиозен Э., Берег русского Лазистана. Известия кавказского отдела императорского русского географического общества. т. XVII, кн. 3, 1905-1907.

Март 1910: Март Н. Я., Из поездки в Турецкого Лазистан. II. Территория. - Известия Императорского Академии Наук, №7, VI серия, С.-Петербург, 1910.

References

Chantladze 1998: Chantladze I., A New Cultural Collection from a Linguist's Perspective. Georgian Onomastics, I. Tbilisi, 1998.

Chikobava 1938: Chikobava Arn., Chan-Mingrelian Comparative Dictionary. Tbilisi, 1938.

Ghlonti 1984: Ghlonti Al., Lexicon of Georgian dialect vocabulary compiled by Al. Ghlonti. Tbilisi, 1984.

Enukidze 1977: Enukidze T., Chonicle of Tbeti Parish. Research and Index added by T. Enukidze. Tbilisi, 1977.

Gogokhia 2017: Gogokhia B., Laz Surnames (Questions of Laz Anthroponomy). Tbilisi, 2017.

Javakhishvili 1937: Javakhishvili Iv., The Original Nature and Kinship of Georgian and Caucasian Languages. Tiflis, 1937.

Janashia 1959: Janashia S., Svan-Adyghe (Circassian) Linguistic Contacts, The Works, III. Tbilisi, 1959.

Kakabadze 2015: Informant: Nodar Kakabadze, 79 years old, village of Sarpi (Georgian region). N. Mgeladze. Field-ethnographic expedition diaries, village of Sarpi, 2015.

Kavtaradze 1985: Kavtaradze G., On the Issue of the Resettlement of Georgian Tribes in Anatolia. Tbilisi, 1985.

Kipshidze 1937: Kipshidze I., Journey to Chaneti: I. Report on the Linguistic Mission to Chaneti in the Summer of 1917; II. Mission Diary (Summer 1917, July 13 - August 27). Messenger of ENIMK, I, Tiflis, 1937.

- Liozen 1905-1907:** Liozen E., The coast of Russian Lazistan. News of the Caucasian Department of the Imperial Russian Geographical Society. Vol. XVII, Book 3, 1905-1907.
- Mari 1910:** Marr N., From a Trip to Turkish Lazistan. News of the Imperial Academy of Sciences, №7, Series VI. St. Petersburg, 1910.
- Mgeladze 1961:** Mgeladze V., Diaries of the 1961 Ethnographic Expedition to the Village of Sarpi. Personal family archive, Batumi, 1961.
- Mgeladze 1964:** Mgeladze V., Main Issues of Laz Settlement Morphology. Works of the Batumi Scientific Research Institute, III. Tbilisi, 1964.
- Mgeladze 1988:** Mgeladze N., On the Semantics of the -khe (pkhe) Suffix. Linguistic Session of the Niko Berdzenishvili Scientific Research Institute, Work Program and Theses of Reports. Tbilisi, 1988.
- Mgeladze... 1988:** Mgeladze N., Paghava M., From the History of Ethnolinguistic Relations of Caucasian Peoples: 1. The khe//pkhe Suffix. Republican Dialectological Scientific Session. Tbilisi, 1988.
- Mgeladze... 1996:** Mgeladze N., Mikeladze J., Materials on Housing Complexes and Social Relations in Balszemo Svaneti. Cultural and Historical-Ethnographic Studies in Georgia, I. Batumi, 1996.
- Mgeladze... 1998:** Mgeladze N., Paghava M., Khe//Pkhe - Issues of History and Etymology. Works of Batumi Shota Rustaveli State University, II. Batumi, 1998.
- Mgeladze 2014 a:** Mgeladze N., Field-Ethnographic Expedition Diaries, August 23, village of Sarpi, Georgian region, 2014.
- Mgeladze 2014 b:** Mgeladze N., Field-Ethnographic Expedition Diaries, March, Turkish side, 2014.
- Mgeladze 2015:** Mgeladze N., Towards Comparative Analysis of Colchian (Megrelian-Lazian) Kinship Terms. Proceedings of the Second International Scientific Conference Dedicated to Iakob Gogebashvili. Tbilisi, 2015.
- Mgeladze... 2015:** Mgeladze N., Varshalomidze J., Mikeladze J., Ethnographic Portrait. Sarpi, Batumi, 2015.
- Mgeladze... 2025:** Mgeladze N., Tunadze T., Narakidze Ts., Tandilava L., Tandilava I., Djgharkava M., Mgeladze B., Laz Ethnological Dictionary. Tbilisi, 2025.
- Mikeladze 1960:** Mikeladze T., For the Genesis of Relations Between Georgian Tribes and the Greek World. Moambe, №2, Tbilisi, 1960.
- Mikeladze 1960:** Mikeladze T., Studies on the History of the Ancient Population of Colchis and the Southeastern Black Sea Region (2nd-1st Millennia BC). Tbilisi, 1960.
- Narakidze 1979:** Narakidze Ts., About Some Colchian Surnames. Abstracts of the Reports of the XVII Republican Dialectological Scientific Session. Tbilisi, 1979.
- Paghava 1977:** Paghava M., For the Study of Toponyms of the Village of Chaisubani (Khelvachauri District). Scientific Session of Students of Higher Educational Institutions of Georgia, Abstracts of Reports. Sokhumi, 1977.
- Shashikadze 2024:** Two Ottoman Defters About Batumi, Translation from Turkish, Introduction, Research and Comments added by Zaza Shashikadze. Tbilisi, 2024.
- Sikharulidze 1977:** Sikharulidze I., Chaneti (Lazeti), Historical Geography Materials, I. Batumi, 1977.
- Tandilava 2013:** Tandilava A., Laz Dictionary (Nenapuna). Tbilisi, 2013.
- Topuria 1967:** Topuria V., Works. Volume I. Tbilisi, 1967.
- Tskhadaia 2000:** Tskhadaia P., Surnames and Surname Settlements in Samegrelo. Tbilisi, 2000.
- Vanilishi... 1964:** Vanilishi M., Tandilava A., Lazeti. Tbilisi, 1964.